

# საზოგადოებრივი მაუწყებლის 2023 წლის ანგარიში

# პრეამბულა

2023 წლის დეკემბერში, პარლამენტმა „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებები შეიტანა, რომლის მიხედვითაც, შეიცვალა მაუწყებლის დაფინანსების მოდელი და წესი. კერძოდ, მაუწყებლის დაფინანსება სტატისტიკის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ დასაქმებულ პირთა მონაცემებზე დაყრდნობით გამოითვლება, ნაცვლად მთლიანი შიდა პროდუქტის არანაკლებ 0,14%- ისა.

აღნიშნულმა მოცემულობამ ახალი რეალობის წინაშე დააყენა ორგანიზაცია, რომელიც ვალდებულია, ერთი მხრივ, შეინარჩუნოს უწყვეტი მაუწყებლობა, შეასრულოს ნაკისრი შინაარსობრივი ვალდებულებები და, მეორე მხრივ, ახალი გარემოებიდან გამომდინარე, შეცვალოს დაგეგმილი პროგრამირება.

პარალელურად, 2024 წელს, დასკვნით ფაზაში შედის ახალ მისამართზე გადასვლის პროცესი, რაც სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დასრულებასთან, ტექნოლოგიური და საოფისე ინფრასტრუქტურის გამართვასთან ერთად, გულისხმობს ტელევიზიის ძირითადი გადაცემების მიგრაციას უწყვეტი ეთერის შენარჩუნებით.

## პირველი არხის ახალი შენობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ფარგლებში შესრულებული სამუშაო - 2023 წელი

2023 წლის განმავლობაში, სამშენებლო-სამონტაჟო და მოსაპირკეთებელი სამუშაოები შესრულდა ტელევიზიის პირველი არხის ახალი კომპლექსის ექვსივე ობიექტზე. ასევე, შესრულდა რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობის მთელი რიგი სამუშაოები.

ქვემოთ მოყვანილია სამუშაოთა შესრულების ანგარიში კომპლექსის თითოეული შენობის მიხედვით:

**ბლოკი A, მთავარი შენობა:** მზადყოფნა 75%.

- შესრულებულია ფასადური სისტემის მონტაჟის 99%. შემინვის 98%;
- დაწყებულია ჰაერგამტარი სისტემის მონტაჟი;
- შენობის ყველა სართულზე შესრულებულია კაბელგამტარი (ელექტრო და სუსტი დენების) სისტემების (ხონჩების) მონტაჟის 99%;
- დასრულებულია ხანძარსაწინააღმდეგო კარადების მონტაჟის 99%;
- დასრულებულია სანიტარულ-ტექნიკური და შიდა საკანალიზაციო მილების მონტაჟი 100%;
- შესრულებულია ფანკოილების მონტაჟი და შეფუთვა 99%;
- შესრულებულია დეკორატიული წითელი კონსტრუქციის მონტაჟი და შეღებვა -99%;
- შეთანხმებულია აკუსტიკური მოპირკეთების მასალები და კარები;
- გრძელდება თაბაშირ-მუყაოს ტიხრების მოწყობა ყველა დონეზე 98%;
- ყველა დონეზე მიმდინარეობს იატაკების მოჭიმვის სამუშაოები 85%;
- მიმდინარეობს დეფორმაციული ნაკერების დამცავი ვერტიკალური და ჰორიზონტალური სისტემების მონტაჟი 80%;
- მომზადებულია მონიშვნები სახურავზე, 112 მოთხოვნების შესაბამისად ჰაერსატარი სისტემების გასაყვანი ღიობების ამოსაჭრელად;
- დასრულებულია შემინული ტიხრების მონტაჟი მეორე სართულის სათავსოებში 100%;
- მიმდინარეობს შეთანხმება შენობის დასასრულებელი დეკორატიული და შიდა მოსაპირკეთებელი მასალების გამოყენებასთან დაკავშირებით;
- დასრულებულია მოსამზადებელი სამუშაოები სამზარეულოს ტექნოლოგიური მოწყობილობებისა და სათავსოების ავეჯის შეთანხმებასთან დაკავშირებით;
- შესრულებულია ლიფტების დამონტაჟებისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები; ლიფტების მოწყობილობები სამშენებლო მოედანზეა 100%;

სამუშაოები შესრულებულია დამკვეთის მიერ პროექტის არქიტექტურულ და საინჟინრო ნაწილში შეტანილი კორექტირების გათვალისწინებით.

**ბლოკი B, პავილიონები:** მზადყოფნა 80%.

- შესრულებულია გარე კედლების ბათქაში და დათბუნება 98%;
- დასასრულს უახლოვდება თაბაშირ-მუყაოს კედლების და ტიხრების დამონტაჟების სამუშაოები 98%;
- დასრულებულია პავილიონის სახურავის მემბრანის მოწყობის სამუშაოები ((№1-№4) -100 %. შესრულებულია მათი ჰერმეტულობაზე გამოცდა;
- შესრულებულია დამიწების შიდა კონტურის მოწყობა 98%; -
- შეთანხმებულია აკუსტიკური დაცვის მასალები;
- შესრულებულია ცეცხლსაქრობი სისტემის მილების მონტაჟი 95%;
- შესრულებულია კაბელმზიდი სისტემების მონტაჟი (ხონჩები 98%);
- შესრულებულია ჰაერსატარების მონტაჟი და ხმაურიზოლაცია 90%;
- შესრულებულია კედლებისა და ჭერების ლითონკონსტრუქციების მონტაჟი თაბაშირ-მუყაოს და აკუსტიკური სისტემის მოსაწყობად;
- შესრულებულია სტუდიის კედლებისა და თაბაშირ-მუყაოს ტიხრების მონტაჟი აკუსტიკური მოპირკეთებით 80%;
- შესრულებულია ჭერის მცურავი სისტემების პირველი ფენის მონტაჟი თაბაშირ-მუყაოსაგან 90%;
- შეთანხმების სტადიაზეა ჭერებისა და იატაკების მოსაწყობი მასალებისა და სისტემების შერჩევის პროცესი;
- აკუსტიკის სპეციალისტების მოთხოვნისა და დამკვეთთან შეთანხმების შესაბამისად დასრულებულია სტუდიის მეორე ფენის მონტაჟი თაბაშირ-მუყაოსაგან 100%;

სამუშაოები შესრულებულია დამკვეთის მიერ პროექტის არქიტექტურულ და საინჟინრო ნაწილში შეტანილი კორექტირების გათვალისწინებით.

**ბლოკი C, არქივი:** მზადყოფნა 80%.

- დასრულებულია რკინაბეტონის კარკასი ადრე დამტკიცებული დოკუმენტაციის შესაბამისად 100%;
- შესრულებულია შესასვლელი ნაწილების რკინაბეტონის კონსტრუქციები 100%;
- შესრულებულია ლიფტების მოსაწყობი მოსამზადებელი სამუშაოები 80%;
- შეთანხმებულია სპეციალური სტელაჟების სისტემის მოწყობილობები;
- მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები სახურავის გარე ფენის, მინის ზენიტური ფარნების და იატაკის მოჭიმვის მოსაწყობად;
- მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები საინჟინრო სისტემების და ელექტრომომარაგების ხაზის მოსაწყობად.

**ბლოკი D, დამხმარე შენობა:** მზადყოფნა 70%.

- დასრულებულია სამუშაოები შენობის რკინაბეტონის კარკასისა და სახურავზე ჩილერების დასადგამი საძირკვლების მოსაწყობად 100%;
- დასრულებულია სახურავის მემბრანის მოწყობისა და მისი გამოცდის სამუშაოები 100%;
- შესრულებულია საქვაბის მოწყობილობების საბოლოო მონტაჟი და დაერთება 100%;
- სამი ძალოვანი ტრანსფორმატორის დამონტაჟებულია საპროექტო მდგომარეობაში;
- საპროექტო მდგომარეობაშია დამონტაჟებული ხანძარსაწინააღმდეგო და ობიექტის წყალმომარაგების ტუმბოები;
- შეთანხმებულია და შეკვეთილია დიზელ-გენერატორები, ელექტრომომარაგებისა და კავშირგაბმულობის სისტემის მოწყობილობები;

  სამი ჩილერი დამონტაჟებულია სახურავზე;

- დასრულდა რკინაბეტონის მიწისქვეშა გვირაბი, ელექტრომომარაგების საკომუნიკაციო სისტემების მოსაწყობად 90%;
- დასრულდა გარე ელექტრომომარაგების შემოსასვლელი საკაბელო ხაზების მონტაჟი 100%;
- მიმდინარეობს საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობისა და ძირითადი მოწყობილობების დაერთების სამონტაჟო სამუშაოები;

**ბლოკი E, ავტოსადგომი:** მზადყოფნა 90%.

სამუშაოები დაიწყო 2023 წელს.

- შესრულებულია რკინაბეტონის კარკასის მოწყობის სამუშაოები 99%;
- მიმდინარეობს სამუშაოები პარაპეტების და ნულოვან ნიშნულზე ავტოსადგომის შემომფარგლავი რკინაბეტონის კედლის დასასრულებლად;
- მიმდინარეობს ცეცხლსაქრობი სპრინკლერული და განათების სისტემების მონტაჟი;

**ბლოკი G, დაცვის შენობა:** მზადყოფნა 60%.

- დასრულებულია ქვაბულის, საძირკვლის ფილის არმირების და მთლიანი შენობის კარკასის მოწყობის სამუშაოები 100%;
- კორექტირებულია პროექტის არქიტექტურული ნაწილი და მომზადებულია საჭირო კონსტრუქციული დოკუმენტაცია სამუშაოთა დასასრულებლად;

**გარე ქსელები**:

- მომზადებულია აუცილებელი ტექნიკური დავალება ობიექტის საქალაქო კომუნიკაციებთან მისაერთებლად. მიღებულია ტექნიკური პირობები ენერგომომარაგების (ორი ხაზი), გაზმომარაგების, წყალმომარაგების და წყალარინების მიერთებაზე. ასევე, მიღებულია ტექნიკური პირობები კავშირგაბმულობის და ინტერნეტის ქსელების პროვაიდერზე მიერთებისათვის.
- შესრულებულია ობიექტის ელექტრომომარაგების ძალოვანი კაბელების მონტაჟის სამუშაოები 100%;
- მიმდინარეობს სამუშაოები მინდელის ქუჩის მხარეს გასასვლელის მოსაწყობად. გატანილია გაზსადენის საქალაქო მაგისტრალი 100%;
- შესრულებულია სამუშაოთა ნაწილი ინტერნეტ-პროვაიდერის ოპტიკური კაბელის შემოყვანასთან დაკავშირებით (შესრულებულია მიწისქვეშა გადასასვლელი და მოწყობილია ჭილზები);
- შესრულებულია გარე მიერთება გაზმომარაგების სისტემასთან, დამონტაჟებულია მოხმარების აღმრიცხველი მოწყობილობა და დამცავი ავტომატიკა 100%;
- მიღებულია გადაწყვეტილებები კავშირგაბმულობის და ინტერნეტ-მომსახურების გარე პროვაიდერების ქსელებთან მიერთების შესახებ. განსაზღვრულია გარე და შიდა საკომუნიკაციო ტრასები.

**სატენდერო საკითხები**:

- მომზადებულია დოკუმენტების აუცილებელი პაკეტი ავეჯის შეძენის (კორექტირების გათვალისწინებით) ტენდერის ჩასატარებლად;
- მზადდება დოკუმენტების პაკეტი (კორექტირების გათვალისწინებით) ტერიტორიის კეთილმოწყობის ტენდერის ჩასატარებლად.












**წარმოგიდგენთ მაუწყებლის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშს „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად:**

„1. სამეურვეო საბჭო არაუგვიანეს ყოველი წლის 1 მაისისა საქართველოს პარლამენტსა და კომისიას წარუდგენს და აქვეყნებს ანგარიშს საზოგადოებრივი მაუწყებლის გასული წლის საქმიანობის შესახებ."

2. ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:

ა) საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სამაუწყებლო პოლიტიკის შესახებ;

ბ) საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიმდინარე და სამომავლო პროგრამული პრიორიტეტების შესახებ;

გ) მიმდინარე და სამომავლო პროგრამათა განრიგის შესახებ;

დ) დამოუკიდებელი პროგრამებისა და მათი მწარმოებლების შესახებ;

ე) საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგების შესახებ;

ვ) განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ;

ზ) საჯარო განხილვების შინაარსისა და მოქალაქეთა წინადადებების შესახებ;

თ) საზოგადოებრივ მაუწყებელსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე საწარმოების შესახებ;

ი) საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ;

კ) საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

ლ) შიდა აუდიტისა და გარე აუდიტის დასკვნებს.

## ა ] ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲚᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამაუწყებლო პოლიტიკას განსაზღვრავს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ და მისგან გამომდინარე პროგრამული პრიორიტეტები, რომელსაც შეიმუშავებს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო.

**იხ. დოკუმენტი:**
https://shorturl.at/jlqs1

## ბ ] ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 25/03/2022წ. #529 გადაწყვეტილებით დამტკიცდა საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტები (2022 წლის 26 მარტიდან - 2025 წლის 26 მარტამდე პერიოდზე).

**იხ. დოკუმენტი:**
https://shorturl.at/qrtEL

## გ ] ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲠᲘᲒᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

პროცენტული გადანაწილება ბადის პროგრამირებისას, მიმართულებების მიხედვით - 2023 წელი.



## პირველი არხი / გადაცემები

1. „მოამბე“
2. „კვირის მოამბე“
3. „აკუსტიკა“
4. „ნატალია და დათუნა“
5. „რანინა“
6. „გორგილაძის აუტანელი სიმსუბუქე“
7. „გამომძიებელი რეპორტიორი“
8. „42-ე პარალელი“
9. „აქტუალური შაბათი მაკა ცინცაძესთან ერთად“
10. „დღის თემა“
11. „რეალური სივრცე“
12. „თავისუფალი ხედვა“
13. ევროვიზია 2023
14. „ტაიმაუტი“
15. „ფერმა“
16. „აკა მორჩილაძე - დაკარგული წიგნები“ (დოკ. ფილმი)
17. „ახალი დღე“
18. „ამ შაბათ-კვირას“
19. „დღის კოდი“
20. „დოსიე“
21. „ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია“
22. „გადაწყვეტილება“
23. „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ (დოკ. ფილმი)
24. „მუსიკის 12 მოციქული“
25. „პირადი ექიმი მარი მალაზონია“
26. დოკუმენტური ფილმები ( ქართული და უცხოური)

## გარე წარმოება

1. „კაცები“
2. „მასტერშეფი“
3. „ვოისი“
4. „მარტივი ლოგიკა“
5. რა? სად? როდის?
6. „წიგნები თარო“
7. „წიგნების თარო ახალგაზრდული“
8. „ბიზნეს პარტნიორი“
9. „სიყვარულს მიღმა“ (სერიალი)
10. „სტუმარი“ (სერიალი)

## ტელესკოლა / გადაცემები

- „ავტოპორტრეტი“
- „ცვანციკას ონლაინ გაკვეთილები“
- „დიალოგი ლიტერატურაძე“
- „გენიოსები“
- „მათემატიკის ონლაინ ოლიმპიადა“
- „წითელი სკამი“
- „კინო კლუბი“

## „ტელეფილმების" წარმოება:

### დოკუმენტური ფილმი / სერიალი

1. „მოდერნისტები“ (4 სერია);
2. „საგარეო ვექტორი“ (7 სერია);
3. „უნივერსიტეტის დამფუძნებლები - ფილიპე გოგიჩაიშვილი“;
4. „უნივერსიტეტის დაფუძნებლები - ელისაბედ ორბელიანი;
5. „დამოუკიდებლობის ამბავი - 26 მაისი“;
6. „სუხიშვილები - ტრადიცია და ინოვაცია“;
7. „ლილი გეგელია“;
8. „შენდობით მომიხსენიე“;

### სტუდია „ეპოქა"

9. ,,დაკარგული წიგნები“ – აკა მორჩილაძის ტელეპროექტი;
10. ,,ბურთით ცხრა მთას იქით“ (11 სერია);
11. ,,დროის სუნთქვა“ (ზაირა არსენიშვილი);

### „ტელედოკი"

1. „ადგილის დედები“;
2. „ქიათურელი ფოტოგრაფები“;
3. „ეს შეიძლება ყოფილიყო ფილმი“;
4. „...და შედიხარ ტყეში“;
5. „ჩუმად გადაღებული ფილმი“;
6. „მიზიდულობის კუბი“;
7. „ფირების მცველი“;
8. „ძაღლი მოჩვენება“;
9. „რაც მაცვია“;
10. „მერცხლის ტრაექტორია“;
11. „ჩვენი მატარებელი პლატფორმიდან გავიდა“;
12. „ირანელი ქალის სოლო“;
13. „ჯერემი“;
14. „გადატვირთვა“;
15. „მე ვდგავარ შენს წინ“;

### კოპროდუქცია

1. სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი **„ლურჯი მოცვი“**;
2. სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი **„დიმიტრი უზნაძე“**;
3. სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი **„გურია“**;
4. სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი **„რეალური არსებები“**;
5. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი **„ჩვენი სიყვარულის მერე“**;
6. 5 სერიანი მხატვრული ფილმი **„იუნკრები“**;

## რადიო - გადაცემები

1. „ახალი ამბები";
2. „მსოფლიო ამბები";
3. „ბიზნეს პარტნიორი";
4. „42-ე პარალელი";
5. „ღია სტუდია";
6. სპორტული თოქ-შოუ - „ესტაფეტა"
7. „პიკის საათი";
8. „პირადი ექიმი - მარი მალაზონია";
9. „რადიო-ექსპრესი";
10. „ჩაი ორისთვის";
11. „კლასიკა ყველასთვის";
12. „აკუსტიკა";
13. „მუსიკის 12 მოციქული";
14. „სი ბემოლ ვიტამინი";
15. „მთელი ეს როკი";
16. „უცნობი მუსიკა";
17. „ისტორიის პოპ გაკვეთილები";
18. „ჩაკრული";
19. „ტრადიციული მუსიკა";
20. „ღამე ოპერაში";
21. „რადიოკალენდარი";
22. „წიგნის დრო";
23. „რადიო თეატრი";

## პოდკასტი

https://shorturl.at/ejBL9

## 2023 წლის მთავარი სპორტული მოვლენები:

- მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში;
- მსოფლიო ჩემპიონატი რაგბიში;
- 21-წლამდე ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში;
- დინამო თბილისის გამოსვლა ჩემპიონთა ლიგაზე - წყალბურთი;
- თბილისის გრანდ სლემი | ძიუდო;
- ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები ფეხბურთში;
- ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში;
- სოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში;
- ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში | ფინალური ბლოკები;
- ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში;
- ბაკურიანი 2023 - ფრისტაილი, სნოუბორდი - მსოფლიო ჩემპიონატი;
- მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები| კალათბურთი;
- დევისის თასი | ჩოგბურთი;
- ქართული კლუბები ევროტურნირებზე ;
- საქართველოს ფეხბურთის ნაკრების ამხანაგური მატჩები;
- ერთა ლიგის ფინალი | ფეხბურთი.

## მრავალფეროვანი საქართველო

- 2023 წლის განმავლობაში, ყოველდღიურ რეჟიმში, 1tv.ge-ზე ითარგმნებოდა ახალი ამბები აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.
- ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, ოთხი საინფორმაციო გამოშვება „მოამბე" გადიოდა ეთერში აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე და და აღნიშნული საინფორმაციო გამოშვებების ნიუსები თავსდებოდა სოციალურ ქსელებში. მიმდინარეობდა „მოამბის" მთავარი საინფორმაციო გამოშვების სინქრონული თარგმნა ორივე ენაზე;

## დ] დამოუკიდებელი პროგრამებისა და მათი მწარმოებლების შესახებ

1. შპს „TV 11" - „კაცები"
2. შპს „TV 11" – „სიყვარულს მიღმა" (სერიალი)
3. შპს „ნოვა პროდაქშენი" - „მასტერშეფი"
4. შპს „მედია საკონსულტაციო ჯგუფი" - „ვოისი"
5. შპს „მედია საკონსულტაციო ჯგუფი" - „სტუმარი" (სერიალი)
6. შპს „შოუ მედია პროდაქშენი" - „მარტივი ლოგიკა"
7. შპს „გეიმ-თივი" - რა? სად? როდის?
8. შპს „წიგნების თარო" - „წიგნები თარო"
9. შპს „წიგნების თარო" - „წიგნების თარო ახალგაზრდული"
10. შპს „ბიზნეს მედია კორპორაცია" - „ბიზნეს პარტნიორი"

### 2023 წლის მონაცემები

8 000 000 ლარამდე განხორციელებული ინვესტიცია ქართულ კრეატიულ ინდუსტრიაში



## 3 ] საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგების შესახებ

2023 წელს ჩატარდა კვლევა - ქართული და უცხოური VOD პლატფორმების მომხმარებლებს შორის.

კვლევის მეთოდი - ინტერნეტ გამოკითხვა. კითხვარი გაზიარდა როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის სხვადასხვა საკომუნიკაციო, სოციალურ ქსელში, ასევე, იმ უნივერსიტეტებთან, რომლებთანაც პირველ არხს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული.

ონლაინგამოკითხვაში მონაწილეობა 1,560 ადამიანმა მიიღო.

კვლევაში მონაწილეობდნენ 18 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტები

კვლევის მიზანია მაყურებელთა ქცევის შესწავლა, რამდენად იცნობს და იყენებს ქართველი მომხმარებელი  ქართულ და უცხოურ VOD (Video on demand) პლატფორმებს, ონლაინ ვიდეო პლატფორმებს, რომლებიც მოიცავს ვიდეო პროდუქტს, ლაივ სტრიმინგს, გადახვევის ფუნქციას და ა.შ. ეს შეიძლება იყოს სერიალები, მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, შემეცნებით-გასართობი გადაცემები, სპორტი, მუსიკა, საბავშვო გადაცემები და ა.შ.

კვლევის შედეგების მიხედვით, ამჟამად VOD პლატფორმებს გამოკითხულთა მხოლოდ 36% მოიხმარს. თუმცა, ახალი, უფასო, ქართული VOD პლატფორმის მოხმარების სურვილი 89,3 პროცენტმა გამოთქვა. რესპონდენტების უმრავლესობამ ქართულ VOD პლატფორმაზე სასურველ პროდუქტებად ქართული ფილმი, ქართული სერიალი და ქართული დოკუმენტალისტიკა დაასახელა.

მოიხმართ თუ არა VOD პლატფორმებს?




გახდები თუ არა ახალი, უფასო VOD პლატფორმის მომხმარებელი?



## ვ ] განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ:

ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ

2023 წლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში", როგორც ადმინისტრაციულ ორგანოში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.

ბ) თვითრეგულირების მექანიზმით გათვალისწინებული საჩივრების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას.

2023 წლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოში საჩივარი არ შემოსულა.

## ზ ] საჯარო განხილვების შინაარსისა და მოქალაქეთა წინადადებების შესახებ:

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 13 ივლისის N553 გადაწყვეტილებით ცვლილებები შევიდა სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 25 მარტის N529 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ 2022-2025 წლების პროგრამულ პრიორიტეტებში.

## თ ] საზოგადოებრივ მაუწყებელსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე საწარმოების შესახებ:

საზოგადოებრივ მაუწყებელს არ გააჩნია "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საწარმოები.

## ი ] საზოგადოებრივი მაუწყებლის მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი
საანგარიშგებო პერიოდი: 01.01.2024 - 31.12.2024
ვალუტა: ლარი

| | |
|---|---|
| სამეურვეო საბჭო | 1,517,850 |
| საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი | 61,197,870 |
| საინვესტიციო საქმინობაზე გაწეული ხარჯი | 75,566,414 |
| ფინანსური ხარჯი | 20,970,713 |
| **მთლიანი ბიუჯეტი:** | **159,252,847** |

## 3 ] საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ - 2023 წლის ანგარიში

### ბიუჯეტის შესრულების ზოგადი პარამეტრები

“საზოგადოებრივი მაუწყებლის” სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულმა 2023 წლის მთლიანმა ბიუჯეტმა შეადგინა 164,899,253 ლარი.

“საზოგადოებრივი მაუწყებლის” მიერ 2023 წლის განმავლობაში ჯამურად მიღებულმა საკასო შემოსავალმა შეადგინა 111,309,774 ლარი. აქედან, 85,559,610 ლარი შეადგინა სახელმწიფო ასიგნებამ, 15,363,600 ლარი შენობის რეალიზაციიდან მიღებულმა თანხამ, ხოლო - 10,386,564 ლარი შეადგინა კომერციული საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა. 2023 წლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეულმა ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა 102,335,957 ლარი.

2023 წლის დასაწყისში, მაუწყებლის ანგარიშზე აკუმულირებული ფულადი ნაშთი შეადგენდა 54,609,908 ლარს, წლის დასასრულს, დარჩენილმა საკასო ნაშთმა შეადგინა 63,583,725 ლარი.

2023 წლის დაგეგმილი ბიუჯეტისა და გაწეული საკასო ხარჯის შედარება:

#### ბიუჯეტის გეგმა / შესრულება

| | ბიუჯეტი | ხარჯი | სხვაობა | % |
|---|---|---|---|---|
| სამეურვეო საბჭო | 1,283,986 | 902,016 | 381,969 | 70.3% |
| გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები | 3,510,806 | 3,223,206 | 287,601 | 91.8% |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 13,500,751 | 13,225,127 | 275,625 | 98.0% |
| მედია | 27,601,662 | 23,052,940 | 4,548,723 | 83.5% |
| ტექნიკა და ტექნოლოგიები | 16,473,111 | 13,306,908 | 3,166,203 | 80.8% |
| ფინანსები და ადმინისტრაცია | 74,190,561 | 20,897,890 | 53,292,671 | 28.2% |
| სხვა გადასახდელები | 28,338,375 | 27,727,871 | 610,505 | 97.8% |
| **მთლიანი ბიუჯეტი** | **164,899,253** | **102,335,957** | **62,563,296** | **62.1%** |

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, 2023 წლის ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა ბიუჯეტირებულთან შედარებით 62 მლნ 563 ათასი ლარით ნაკლები, რაც დიდწილად დაკავშირებულია მშენებლობის პროცესთან.

ქვემოთ მოცემულია განმარტებები იმ გარემოებათა შესახებ, რამაც განაპირობა ბიუჯეტის შესრულების მითითებული მაჩვენებლები თითოეული მუხლისთვის:

**ახალი შენობის მშენებლობა** - სხვაობა 51,783,710

ბიუჯეტის ამ მუხლში ათვისების მაჩვენებელი განპირობებულია მშენებლობის სპეციფიკით, რადგან ათვისების ფინანსური მაჩვენებელი და ფიზიკურად შესრულებული სამუშაოები პროცენტულად არ ედრება ერთმანეთს მთელი რიგი მიზეზების გამო. ასევე, მშენებლობის საწყის ეტაპზე, თანხის ათვისება ხდება გაცილებით დაბალი ტემპით და ფინანსური ათვისების მაჩვენებელი არ ასახავს ფაქტობრივად შესრულებული სამშენებლო სამუშაოების რეალურ სურათს (მაგალითად, ბეტონის შრობა, რომელსაც თავისი ბუნებრივი დრო სჭირდება). ასევე, საინჟინრო ნაწილში კონტრაქტორს შეიძლება ობიექტზე მიწოდებული და დამონტაჟებული ჰქონდეს სხვადასხვა მოწყობილობები (ლიფტები, ჩილერები, გენერატორები, სახანძრო სისტემები და ა.შ.), მაგრამ ექსპლუატაციაში გაშვებამდე დამკვეთის მიერ არ ხდება მისი ანაზღაურება. ასევე, ხარისხის გარანტიის უზრუნველსაყოფად, დამკვეთი კონტრაქტორს არ უხდის შესრულებული სამუშაოს ღირებულების 5%-ს, რაც ასევე იწვევს განსხვავებას ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოს და მის ფინანსურ ანაზღაურებას შორის.

სწორედ ამიტომ, 2023 წლის ბოლოსთვის, სამშენებლო მოედანზე შესრულებული მთლიანი სამუშაოები შეადგენდა პროექტის დაახლოებით 70%-ს, მაგრამ ფინანსურ გამოსახულებაში ათვისება იყო 41 6%. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ცხრილი:

| ბიუჯეტის მუხლები | დაგი (სამშენებლო ნაწილი) | თბილი სახლი (საინჟინრო ნაწილი) | ჯამი |
|---|---|---|---|
| ხელშეკრულების თანხა | 46,272,618 | 39,844,276 | 86,116,894 |
| გადახდილი თანხა 31.12.2023 მდგომარეობით | 28,389,185 | 7,425,628 | 35,814,813 |
| შესრულების % | 61.4% | 18.6% | 41.6% |

**ახალი შენობის მშენებლობის ზედამხედველობა** - სხვაობა 1,289,545
მიბმულია მშენებლობის ფინანსურ ათვისებაზე, შესაბამისად, აქაც დაფიქსირდა გეგმასთან შედარებით სხვაობა.

**ტექნიკის და სხვა შესყიდვები** - სხვაობა 3,018,102
აქ საუბარია ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებულ ტექნიკურ შესყიდვებზე, რომელიც გულისხმობს 11 მილიონ ლარიან პროექტს. თავდაპირველი გეგმით, აღნიშნული თანხის გარკვეული ნაწილი უნდა დახარჯულიყო 2023 წელს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მოხდა ტექნიკური შესყიდვების ვადების სინქრონიზება მშენებლობის ვადებთან და აღნიშნული თანხა გადმოტანილი იქნა 2024 წლის გეგმაში. ამ ეტაპზე ტენდერი დასრულებულია და მიმდინარეობს გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესი.

**გადასახდელები** - სხვაობა 610,505
ამ შემთხვევაში ადგილი აქვს სესხის მომსახურების ხარჯის შემცირებას, რადგან 2023 წელს ადგილი ჰქონდა რეფინანსირების განაკვეთის ცვლილებას, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ტელევიზიის საპროცენტო ხარჯზე და გაჩნდა დანაზოგი.

**შრომის ანაზღაურება და მივლინება** - სხვაობა შესაბამისად 854,871 და 308,949
ამ მიმართულებით დაფიქსირებული სხვაობა გამოწვეულია მედიის ბლოკში ცალკეული პროექტების განხორციელებაზე უარის თქმით, რის შესახებაც დეტალური ინფორმაცია მოცემულია შემდეგ პუნქტში.

**მედია** - სხვაობა 4,450,027
მედიის მიმართულებით დაფიქსირებული ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი უკავშირდება მაუწყებლის დაფინანსების ახალ სქემას. როგორც მოგეხსენებათ, კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების გამო, 2024-2025 წლებში მაუწყებლის ბიუჯეტი აღარ გაიზრდება და იქნება ფიქსირებული, ხოლო შემდგომ წლებში ადგილი ექნება მკვეთრ შემცირებას, ეს იმ ფონზე, როდესაც მაუწყებლის ვალდებულებები სამშენებლო, ტექნიკურ და სესხის მომსახურების ნაწილში რჩება უცვლელი და ამ ვალდებულებების უზრუნველყოფას ჭირდებოდა სხვა მიმართულებების ხარჯზე დაბალანსება.

**სხვა** - სხვაობა 247,588

## შრომის ანაზღაურება

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2023 წლის შრომის ანაზღაურებაზე ბიუჯეტირებული თანხა შეადგენდა 34,549,957 ლარს, ფაქტობრივმა გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 33,615,961 ლარი. ფაქტობრივმა სახელფასო ხარჯმა შეადგინა 933 ათასი ლარით ნაკლები.

### 2023 წლის შრომის ანაზღაურების გადანაწილება:

| | ბიუჯეტი | ხარჯი | სხვაობა | % |
|---|---|---|---|---|
| სამეურვეო საბჭო | 879,768 | 853,380 | 26,389 | 97.0% |
| გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები | 2,824,022 | 2,703,688 | 120,334 | 95.7% |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 11,260,759 | 11,225,390 | 35,369 | 99.7% |
| მედია | 9,084,889 | 8,461,149 | 623,740 | 93.1% |
| ტექნიკა და ტექნოლოგიები | 7,913,979 | 7,897,876 | 16,103 | 99.8% |
| ფინანსები და ადმინისტრაცია | 2,486,539 | 2,474,478 | 12,061 | 99.5% |
| სხვა გადასახდელები | 100,000 | - | 100,000 | |
| **მთლიანი ბიუჯეტი** | **34,549,957** | **33,615,961** | **933,996** | **97.3%** |

### შრომის ანაზღაურება




2023 წლის განმავლობაში, ჯამურმა გაწეულმა სახელფასო ხარჯმა შეადგინა 33 მლნ 615 ათასი ლარი. აქედან, პროექტების დღიურ ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 584,665 ლარი.

**2023 წლის ჯამური სახელფასო ფონდის გადანაწილება:**

| | ხელფასი | დღიური ანაზღაურება | ჯამური სახელფასო ფონდი | წილი ჯამური ხარჯიდან % |
|---|---|---|---|---|
| სამეურვეო საბჭო | 853,380 | - | 853,380 | 2.5% |
| გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები | 2,703,688 | - | 2,703,688 | 8.0% |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 11,171,871 | 53,519 | 11,225,390 | 33.4% |
| მედია | 7,930,003 | 531,145 | 8,461,149 | 25.2% |
| ტექნიკა და ტექნოლოგიები | 7,897,876 | - | 7,897,876 | 23.5% |
| ფინანსები და ადმინისტრაცია | 2,474,478 | - | 2,474,478 | 7.4% |
| **ჯამი:** | **33,031,296** | **584,665** | **33,615,961** | **100%** |

## მივლინება

2023 წლის სამივლინებო ხარჯმა შეადგენდა 1,216,132 ლარი. ბიუჯეტით განსაზღვრული სამივლინებო თანხა შეადგენდა 1,525,081 ლარს.

**სამივლინებო ხარჯები სამსახურების მიხედვით:**

| | გეგმა | ფაქტი | სხვაობა | % |
|---|---|---|---|---|
| სამეურვეო საბჭო | - | 108 | (108) | |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 813,311 | 751,605 | 61,706 | 92.4% |
| მედია | 704,650 | 455,569 | 249,081 | 64.7% |
| ტექნიკა და ტექნოლოგიები | 7,120 | 9,570 | (2,450) | 134.4% |
| **ჯამი:** | **1,525,081** | **1,216,852** | **308,229** | **79.8%** |

აღნიშნული სამივლინებო თანხიდან ქვეყნის შიგნით მივლინების ხარჯი შეადგენდა 211,992 ლარს, ხოლო საზღვარგარეთ მივლინების ხარჯი - 1,004,859 ლარს.

## ლიცენზიები

მაუწყებლის მიერ 2023 წლის განმავლობაში მექანიკური პროდუქციის შესყიდვაზე გადახდილ იქნა 1,420,536 ლარი, კონცერტების და დაჯილდოებების ჩვენების უფლების შესყიდვაზე - 11,600 ლარი, ხოლო სპორტულ ლიცენზიებზე - 3,698,563 ლარი.

| |
|---|
| SNTV (Sport News Reporting Licence) |
| UEFA/FIFA 2022-2028 |
| EURO 2024 |
| EURO 2028 |
| Rugby World Cup 2023 |
| FIBA 2022-2025 |
| ოლიმპიადა Paris 2024 |
| ძიუდო |
| ძალოსნობა |

## კომერციული შემოსავლები

2023 წელის განმავლობაში, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საკუთარი სახსრებით მოზიდულმა თანხამ შეადგინა 25,750,164 ლარი. აღნიშნული თანხიდან სარეკლამო და სასპონსორო საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 2,127,547 ლარი. საიჯარო შემოსავალმა - 69,668 ლარი, საპროცენტო შემოსავალმა - 7,712,923 ლარი, შენობის რეალიზაციიდან მიღებულმა საკასო შემოსავალმა - 15,363,600 ლარი, სხვა კომერციულმა შემოსავლებმა კი - 476,426 ლარი.

### 2023 წლის კომერციული შემოსავლები

| | |
|---|---|
| შენობის რეალიზაცია | 15,363,600 |
| რეკლამა და სპონსორობა | 2,127,547 |
| იჯარა და ტექ.მომსახურება | 69,668 |
| საპროცენტო შემოსავალი | 7,712,923 |
| სხვადასხვა შემოსავალი | 476,426 |
| **სულ:** | **25,750,164** |

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ 2023 წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი N1.

## დანართი N1

**სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის საკასო ხარჯები**
პერიოდი: 01/01/2023- 31/12/2023

| ანგარიშის დასახელება | ჯამი: |
|---|---|
| სამეურვეო საბჭო | 902,016 |
| სამეურვეო საბჭოს წევრების ჰონორარი | 722,860 |
| სხვა ხარჯი | 179,156 |
| აპარატის ხელფასი | 130,520 |
| საკონსულტაციო ხარჯი | 47,900 |
| სხვა ხარჯები სამ. | 737 |
| გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები | 3,223,206 |
| შრომის ანაზღაურება | 2,690,563 |
| გენერალური დირექტორის აპარატი | 236,750 |
| შიდა აუდიტი | 30,000 |
| ადამიანური რესურსების მართვის სამსახური | 240,454 |
| იურიდიული სამსახური | 192,257 |
| მარკეტინგი და კომუნიკაცია | 105,280 |
| კომუნიკაციის ჯგუფი | 79,205 |
| კვლევის და ანალიტიკის ჯგუფი | 98,875 |
| პროექტი ანგარიშგება და ანალიზი | 112,751 |
| ბრენდინგის და პრომოციის ჯგუფი | 530,706 |
| სარეკლამო ჯგუფი | 129,100 |
| ახალი მედია და ინოვაცია | 338,175 |
| სოციალური მედიის ჯგუფი | 133,858 |
| ვებ დეველოპმენტის ჯგუფი | 112,500 |
| ტექნიკური უზრუნვ. და ადმინისტრირების ჯგუფი | 350,653 |
| მარკეტინგული ღონისძიებები | 114,415 |
| ონლაინ მედია | 405,102 |

| | |
|---|---|
| ვებ პროექტი პირველი არხი სცენა | 13,125 |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 13,225,127 |
| შრომის ანაზღაურება | 217,221 |
| ახალი ამბები | 10,959,046 |
| შრომის ანაზღაურება | 9,727,571 |
| ცენტრალური მართვის აპარატი | 195,395 |
| რადარული მართვის აპარატი | 206,500 |
| წარმოების და ტექ.უზრუნველყოფის ჯგ. მოამბე | 4,472,448 |
| სოციალური მედიის ჯგ | 115,040 |
| ინფორმაციის მოპოვების და დამუშავების აპარატი | 90,000 |
| პოლიტიკის მიმართულების ჯგ | 356,443 |
| საერთაშორისო მოვლენების მიმართ. ჯგ | 307,126 |
| სოც. მოვლენების მიმართ. ჯგ | 130,673 |
| კრიმინალის და სამართლის მიმართ ჯგ | 113,268 |
| ეკონომიკის მიმართ. ჯგ | 114,911 |
| კულტურის მიმართ ჯგ | 133,910 |
| სპორტული მიმართ ჯგ | 479,430 |
| მულტიფუნქციური კორესპონდენტების ჯგ | 797,132 |
| ახალი ამბების არქივი | 142,266 |
| ტელეპროდუქციის წარმ. ჯგ | 569,536 |
| რეგიონული ამბების ჯგ | 267,162 |
| რადიო წარმოების ჯგ | 152,136 |
| მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი | 18,000 |
| ონლაინ მედია პროდუქციის წარმ ჯგ | 513,779 |
| უცხოენოვანი ჯგუფი | 273,119 |
| ანალიტიკური სამსახური | 279,298 |
| მივლინება | 746,425 |
| უცხოური საინფ. სააგენტოები, სიგნალის გადმოგორება | 484,465 |

| | |
|---|---|
| შესყიდვები მოამ. | 585 |
| მულტიფ. პროექტი "ოქროს ფონდი" | **1,800** |
| შრომის ანაზღაურება | 1,800 |
| ანალიტ. ჟურნალი 42 პარალელი | **766** |
| შრომის ანაზღაურება | 766 |
| ახალი ამბების რადიო პლატფორმა | **87,865** |
| შრომის ანაზღაურება | 87,865 |
| პროექტი "მრავალფეროვანი საქართველო" | **362,056** |
| შრომის ანაზღაურება | 308,652 |
| დღიური ანაზღაურება | 53,314 |
| მივლინება | 90 |
| "ბიზნეს პარტნიორი" (გარე წარმოება) | **764,613** |
| შრომის ანაზღაურება | 5,500 |
| მივლინება | 510 |
| შესყიდვები ბიზნ. | 758,603 |
| "გამომძიებელი რეპორტიორი" | **226,726** |
| შრომის ანაზღაურება | 222,071 |
| დღიური ანაზღაურება | 75 |
| მივლინება | 4,580 |
| "აქტუალური შაბათი მაკა ცინცაძესთან ერთად" | **133,500** |
| შრომის ანაზღაურება | 133,500 |
| "42 პარალელი" | **240,540** |
| შრომის ანაზღაურება | 240,540 |
| "საინტერესო ადამიანები" | **60,000** |
| შრომის ანაზღაურება | 60,000 |
| გადაცემა "თავისუფალი ხედვა" | **53,182** |
| შრომის ანაზღაურება | 53,052 |
| დღიური ანაზღაურება | 130 |

| | |
|---|---|
| ვებ პროექტი "ანტიფეიქი" | **77,083** |
| შრომის ანაზღაურება | 77,083 |
| პროექტი "ევროპული პერსპექტივა" | **40,729** |
| შრომის ანაზღაურება | 36,250 |
| შესყიდვები | 4,479 |
| **მედია** | **23,052,940** |
| **შრ.ანაზღაურება** | **2,586,066** |
| დირექტორის აპარატი | 440,425 |
| სარეკომენდაციო საბჭო | 139,447 |
| ტელე-რადიო პროდუქციის დაგეგმვისა და პროგრამირების ჯგუფი | 108,375 |
| პირველი არხი | 250,625 |
| ბრენდინგის და პრომოციის ჯგუფი | 504,869 |
| მზა პროდუქციის შერჩევის და თარგმნა გახმოვანების სამსახური | 54,470 |
| მზა პროდუქციის შერჩევის და შესყიდვების ჯგუფი | 52,390 |
| თარგმნა გახმოვანების ჯგ | 382,114 |
| არქივი | 653,351 |
| **მივლინება** | **100,162** |
| **წარმომადგენლობით ხარჯი** | **19,936** |
| **EBU -ს საერთაშორისო ასამბლეას ორგანიზება** | **69,750** |
| **შესყიდვები მედია** | **156,593** |
| **მექანიკური პროდუქცია** | **1,420,536** |
| **კონცერტები/დაჯილდოებები** | **11,600** |
| **ქართული ფილმები** | **32,631** |
| **სატელევიზიო ფორმატები** | **190,274** |
| **სპორტული მიმართულება** | **4,440,781** |
| **სიგნალები და სპორტული სააგენტოები** | 837,193 |
| მ.ს.ს და სპორტის ტექნიკური ხარჯი | 742,219 |
| SNTV (Sport News Reporting Licence) | 94,975 |
| **სპორტული ლიცენზიები** | 3,603,588 |

| | |
|---|---|
| გადაცემა “ახალი დღე” | **706,492** |
| შრომის ანაზღაურება | 677,325 |
| დღიური ანაზღაურება | 5,807 |
| მივლინება | 23,360 |
| გადაცემა “ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია” | **24,640** |
| შრომის ანაზღაურება | 24,250 |
| მივლინება | 390 |
| პროექტი “აკუსტიკა” | **379,413** |
| შრომის ანაზღაურება | 344,589 |
| დღიური ანაზღაურება | 29,824 |
| მივლინება | 4,530 |
| შესყიდვები | 470 |
| პროექტი “ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ” | **155,980** |
| შრომის ანაზღაურება | 133,750 |
| მივლინება | 22,230 |
| გადაცემა “პირადი ექიმი მარი მალაზონია” | **216,043** |
| შრომის ანაზღაურება | 211,033 |
| მივლინება | 5,010 |
| გადაცემა “დღის კოდი” | **353,690** |
| შრომის ანაზღაურება | 352,500 |
| მივლინება | 1,190 |
| გადაცემა “ფერმა” | **170,271** |
| შრომის ანაზღაურება | 143,031 |
| მივლინება | 27,240 |
| გადაცემა “რეალური სივრცე” | **382,880** |
| შრომის ანაზღაურება | 378,440 |
| მივლინება | 4,440 |
| გადაცემა “ტაიმ აუტი” | **149,864** |

| | |
|---|---|
| შრომის ანაზღაურება | 134,894 |
| დღიური ანაზღაურება | 1,000 |
| მივლინება | 13,970 |
| **პროექტი "დოსიე"** | **215,935** |
| შრომის ანაზღაურება | 153,478 |
| შესყიდვები | 62,458 |
| **მეგა შოუ "რანინა"** | **380,045** |
| შრომის ანაზღაურება | 107,750 |
| დღიური ანაზღაურება | 203,037 |
| მივლინება | 5,678 |
| შესყიდვები | 63,580 |
| **რადიო გადაცემები** | **704,167** |
| შრომის ანაზღაურება | 701,602 |
| დღიური ანაზღაურება | 2,295 |
| მივლინება | 270 |
| **პროექტი "გორგილაძის აუტანელი სიმსუბუქე"** | **131,575** |
| შრომის ანაზღაურება | 131,575 |
| **გადაცემა "ამ შაბათ - კვირას"** | **374,027** |
| შრომის ანაზღაურება | 353,707 |
| დღიური ანაზღაურება | 12,498 |
| მივლინება | 7,590 |
| შესყიდვები | 231 |
| **პროექტი "ნატალია და დათუნა"** | **413,122** |
| შრომის ანაზღაურება | 263,321 |
| დღიური ანაზღაურება | 149,801 |
| **პროექტი ევროვიზია** | **678,254** |
| შრომის ანაზღაურება | 11,541 |
| დღიური ანაზღაურება | 29,838 |

| | |
|---|---|
| მივლინება | 152,320 |
| შესყიდვები | 484,555 |
| პროექტი “რას მოგვითხრობენ საფლავის ქვები” | 6,740 |
| შრომის ანაზღაურება | 6,500 |
| მივლინება | 240 |
| საახალწლო პროექტები | 3,836 |
| დღიური ანაზღაურება | 3,836 |
| **გარეწარმოების პროექტები - მედია** | 3,555,406 |
| გადაცემა “მარტივი ლოგიკა” | 627,346 |
| "წიგნების თაროს" პროექტები | 946,008 |
| მივლინება | 7,360 |
| შესყიდვები | 938,648 |
| პროექტი “რა? სად? როდის?” | 327,616 |
| “მასტერშეფი” (ორი სეზონი) | 1,371,519 |
| პროექტი “კაცები” | 282,916 |
| **“ტელესკოლა”** | 642,069 |
| ტელეფილმების წარმოება | 650,715 |
| ტელეფილმების ადმინისტრაცია | 312,423 |
| სტუდია “ეპოქა” | 260,251 |
| შრომის ანაზღაურება | 217,102 |
| დღიური ანაზღაურება | 11,450 |
| მივლინება | 31,699 |
| “ტელედოკი” | 33,646 |
| შრომის ანაზღაურება | 23,701 |
| დღიური ანაზღაურება | 8,125 |
| მივლინება | 1,820 |
| პროექტი “ფოტო ისტორია” | 35,000 |
| შრომის ანაზღაურება | 35,000 |

| | |
|---|---|
| **პროექტი "შუქი სარდაფში"** | **4,295** |
| შრომის ანაზღაურება | 4,295 |
| **პროექტი "ცნობილი აფხაზების უცნობი ამბები"** | **5,100** |
| შრომის ანაზღაურება | 5,100 |
| **დოკუმენტური ფილმები** | **283,825** |
| **დოკუმენტური ფილმების პროექტები** | **90,217** |
| შრომის ანაზღაურება | 19,000 |
| დღიური ანაზღაურება | 29,747 |
| მივლინება | 41,470 |
| **კოპროდუქცია (გარე წარმოება)** | **193,608** |
| შესყიდვები | 193,608 |
| **ქართული მხატვრული ტელესერიალები (გარე წარმოება)** | **3,445,622** |
| **ტექნიკა და ტექნოლოგიები** | **13,306,908** |
| **შრომის ანაზღაურება** | **7,897,876** |
| დირექტორის აპარატი | 336,727 |
| პროექტი "მაუწყებლის ახალ შენობაში გადასვლის პროცესი" | 57,319 |
| გავრცელების უზრუნველყოფის სამს | 55,200 |
| საერთაშორის ჩართვების ჯგ | 22,675 |
| შიდა და გარე სიგნალების მომსახურე ჯგ | 203,558 |
| ტექნიკური უზრუნველყოფის სამს | 55,825 |
| მოძრავი სატელევიზიო სადგურის ჯგ | 487,601 |
| სარემონტო ჯგ | 49,350 |
| სტუდიების ჯგ | 385,394 |
| ტელე ცენტრალური საააპარატოს ჯგ | 133,444 |
| რადიოს ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგ | 128,405 |
| ენერგეტიკის სამუშაო ჯგ | 215,666 |

| | |
|---|---|
| წარმოების დაგეგმარების და კონტროლის ჯგ | 68,350 |
| ოპერატორების ჯგ | 1,566,375 |
| ხმის რეჟისორები ჯგ | 590,110 |
| მემონტაჟეთა და გრაფიკოსთა ჯგ | 816,582 |
| ვიზაჟისა და სტილისტების ჯგ | 269,531 |
| გამნათებლების ჯგ | 435,758 |
| საეთერო ჯგ | 517,866 |
| ცენტრალური საეთეროს ჯგ | 325,691 |
| სამხატვრო-სადადგმო ჯგ | 408,537 |
| კამერების პარკი | 125,571 |
| განათების პარკი | 22,000 |
| ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური | 620,342 |
| **მივლინება** | **9,570** |
| **ვებმაუწყებლობა და სტრიმინგი** | **372,588** |
| **ტელერადიოცენტრი (სიგნალის გავრცელება)** | **2,300,000** |
| **სატელიტის მომსახურება** | **174,387** |
| AZERCOSMOS | 94,969 |
| EUTELSAT | 79,418 |
| **ტექნიკის და სხვა შესყიდვები** | **2,552,487** |
| **ტექნიკის შესყიდვა და ახალ შენობაში გადასვლის პროექტი** | **757,411** |
| **პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა (ანტივირუსი და სხვა ლიცენზიები)** | **1,443,487** |
| **სტუდიის დეკორაცია** | **267,991** |
| **ვიზაჟის მასალა (კოსმეტიკური პროდუქტი)** | **1,693** |
| **გარდერობი** | **6,850** |
| **ინტერნეტ  მომსახურება, სილქ ტივი და სხვა მომსახურება** | **14,580** |
| **სატელეკომუნიკაციო მომსახურებები  (ჯებში გატარება)** | **46,730** |
| **სხვა ტექნიკური ხარჯი** | **13,744** |
| **ფინანსები და ადმინისტრაცია** | **20,897,890** |
| **შრომის ანაზღაურება** | **2,474,478** |

| | |
|---|---|
| ბლოკის დირექტორის აპარატი | 178,900 |
| ბუღალტრული აღრიცხვის ჯგუფი | 241,118 |
| ფინანსური ანალიზის, ბიუჯეტირების და რეპორტინგის ჯგუფი | 118,200 |
| შესყიდვების სამს | 270,250 |
| ადმინისტრაცია | 191,962 |
| საწყობი | 70,240 |
| ტელეკომუნიკაციის ჯგ | 30,960 |
| სარემონტო ჯგ | 112,898 |
| ვენტილაციის ჯგ | 77,530 |
| ავტოპარკი | 1,076,009 |
| საქმის წარმოების სამსახური | 106,410 |
| **ახალი შენობის მშენებლობის ზედამხედველობა** | **710,455** |
| **ახალი შენობის მშენებლობა** | **15,012,065** |
| **კომუნალური ხარჯები** | **1,154,675** |
| წყალი | 131,880 |
| ელ. ენერგია | 682,716 |
| გაზი | 51,483 |
| დასუფთავება, სანიტარული, ნარჩენების გატანა | 288,595 |
| **ტრანსპორტი** | **765,129** |
| **ტრანსპორტის მომსახურების ხარჯი** | **214,015** |
| ტრანსპორტის შეკეთება (მომსახურება)/სათადარიგო ნაწილები | 107,642 |
| საბურავები, ზეთი და სხვა | 48,358 |
| ავტოტრანსპორტის დაზღვევა | 39,314 |
| GPS | 13,431 |
| ტექ. დათვალიერება | 2,330 |
| პარკირების და ჯარიმის გადასახადი | 2,940 |
| **საწვავ-საპოხი მასალები** | **281,115** |
| ბენზინი | 248,711 |

| | |
|---|---|
| დიზელი | 32,404 |
| ავტოპარკის განახლება | 270,000 |
| კავშირგაბმულობა | 160,276 |
| მობილური/ქალაქის ტელეფონი | 153,890 |
| 112-ის მომსახურება | 6,386 |
| საოფისე  მასალები | 65,835 |
| საოფისე ინვენტარი | 30,040 |
| საკანცელარიო საქონელი | 25,886 |
| კარტრიჯები, საბეჭდი მასალები | 9,909 |
| შენობა-ნაგებობების დაცვა | 352,500 |
| სამეურნეო საქონელი | 18,755 |
| საოფისე ელ. ტექნიკა და სხვა | 384 |
| საფოსტო, საკონსულტაციო, თარგმნა, ნოტარიუსის მომსახურება | 24,547 |
| ინფრასტრუქტურის  და საოფისე მოწყობილობების /შენახვა/მოვლა | 8,621 |
| ტრანსპორტის დაქირავება | 10,203 |
| წარმომადგენლობითი ხარჯი | 107,868 |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯი | 32,098 |
| გადასახდელები | 27,727,871 |
| ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) საწევროს ხარჯი | 583,381 |
| დღგ (რეალიზაციის, უკუდაბეგვრის) | 13,266,500 |
| ქონების გადასახადი | 416,094 |
| მიწის გადასახადი | 5,853 |
| მოგების გადასახადი | 21,234 |
| საავტორო უფლებები | 319,957 |
| სესხის მომსახურება | 13,011,744 |
| სახელმწიფო ბაჟი | 7,983 |
| სხვა მიმდინარე დავალიანება/გადასახადები | 95,125 |
| **ჯამი:** | **102,335,957** |

## ლ] შიდა და გარე აუდიტების დასკვნები

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2023 წლის შიდა და გარე აუდიტორული ანგარიშები წარმოდგენილია დანართის სახით ( იხ. დანართი N1 და დანართი N2).

# ᲡᲡᲘᲞ „ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲚᲘᲡ“
# ᲨᲘᲓᲐ ᲐᲣᲓᲘᲢᲘᲡ 2023 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შიდა აუდიტორი კახაბერ მურცხვალაძე ------------------------------

**შინაარსი:**

1. შესავალი ---- 3

2. შემაჯამებელი მიმოხილვა ---- 4

3. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები ---- 7

4. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შემოსავლების წყარო და მისი დაგეგმვა ---- 9

5. შესყიდვები ---- 12

6. სესხები ---- 13

7. არაფინანსური აქტივები ---- 13

8. შეფასება და რეკომენდაცია ---- 14

# შესავალი

„საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტს ქმნის საზოგადოებრივი მაუწყებლობის გადასახდელი და კანონმდებლობით განსაზღვრული ან/და ნებადართული სხვა შემოსავლები. საზოგადოებრივი მაუწყებლობის გადასახდელის გადამხდელია ყველა ფიზიკური პირი, რომელსაც საქართველოში აქვს საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი".

„საზოგადოებრივი მაუწყებლობის დაფინანსების ოდენობაა საქართველოს "სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" წლიური კანონის პროექტის შემუშავების პერიოდში არსებული მაკროპარამეტრების გათვალისწინებით დასაგეგმი წლის წინა წლისათვის განსაზღვრული მთლიანი შიდა პროდუქტის არანაკლებ 0,14%. საზოგადოებრივ მაუწყებელს საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსება ერიცხება სრულად, საბიუჯეტო წლის დასრულებამდე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული კვარტალური განწერის შესაბამისად". (2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის მომენტში, მაუწყებლის დაფინანსება ხორციელდებოდა ზემოთ მითითებული ჩანაწერის მიხედვით „მაუწყებლობის შესახებ" კანონიდან). მაუწყებლის დაფინანსების მიდგომები შეიცვალა 2023 წლის 15 დეკემბერს: „ საზოგადოებრივი მაუწყებლობის დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტი 2024 და 2025 დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისთვის ფინანსდება საქართველოს წინა წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით დამტკიცებული მთლიანი ასიგნების ოდენობით. საზოგადოებრივ მაუწყებელს საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით გათვალისწინებული დაფინანსება ერიცხება სრულად, საბიუჯეტო წლის დასრულებამდე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული კვარტალური განწერის შესაბამისად."

ბიუჯეტის შედგენაზე, შესრულებაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი".

| | |
|---|---|
| ანგარიშის სამართლებრივი საფუძვლები: | **საქართველოს კანონი "მაუწყებლობის შესახებ"**<br>**მუხლი 35. სამეურვეო საბჭოს ანგარიში**<br>სამეურვეო საბჭო არაუგვიანეს ყოველი წლის 1 მაისისა საქართველოს პარლამენტსა და კომისიას წარუდგენს და აქვეყნებს გასული წლის შიდა და გარე აუდიტების დასკვნებს. |

## შემაჯამებელი მიმოხილვა

- 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინა 2022 წლის ნოემბერში. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარდგენილი ბიუჯეტის პროექტის ჯერის მოცულობა შეადგენდა 161 638 800 ლარს.
- „მაუწყებლის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, სამეურვეო საბჭომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2023 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა.
- ფინანსურ დოკუმენტში განისაზღვრა დაფინანსების წყაროები შემდეგი სახით:

| | |
|---|---|
| ფულადი ნაკადები | 01.01.2023 |
| ხაზინა | 85,943,500 |
| შენობის რეალიზაცია | 65,295,300 |
| ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი | 4,200,000 |
| წინა პერიოდის ნაშთი | 6,200,000 |
| **ჯამი** | **161,638,800** |

- 2023 წლის საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტში მობილიზებული ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები (ექვსი თვის მონაცემებით) გაიზარდა 75%-ით და შეადგინა 7 344 343 ლარი, ხოლო გეგმური ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 2%-ით.

**(ბიუჯეტის კორექტირების ძირითადი საფუძველი გახდა შემოსავლების აღრიცხვა, რაც თავდაპირველ ბიუჯეტში ვერ იქნა გათვალისწინებული. ბიუჯეტი კორექტირებაზე წარდგენილი ჰქონდა მაუწყებელს სამეურვეო საბჭოსთვის 2023 წლის 12-ივლისს).**

| | |
|---|---|
| ხაზინა | 86,011,200 |
| შენობის რეალიზაცია | 65,295,300 |
| ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი | 7,344,343 |
| წინა პერიოდის ნაშთი | 6,200,000 |
| **ჯამი** | **164,850,843** |

- წარდგენილი ბიუჯეტის პროექტში ჩანს ეკონომიკური შემოსავლების ჯამური მოცულობა, მაგრამ არ არის ჩაშლილი მონაცემები, რა საქმიანობიდან იგეგმება აღნიშნული შემოსავლის მიღება. თუმცა, აღნიშნული კომპონენტი კვარტალურ ანგარიშებში დეტალურად არის წარმოდგენილი.

  - ბიუჯეტის წარდგენის მომენტში არ ჩანს, თუ რა ტიპის საქმიანობიდან აქვს მაუწყებელს დაგეგმილი შემოსავალი.
  - შემოსავლის წყაროების სეგმენტაციის გარეშე შეუძლებელია შეფასდეს, თუ რამდენად ეფექტიანად იყენებს მაუწყებელი მის ხელთ არსებულ რესურსს - მიიღოს მაქსიმალური შემოსავალი პროფილური ეკონომიკური საქმიანობიდან.

მაგ: 2023 წლის შემოსავლების ფორმირება მოხდა შემდეგი მომსახურებიდან და საქმიანობიდან:

1. იჯარა;
2. დეპოზიტის %;
3. რეკლამა/ პროდაქტ-ფლეისმენტი/ სპონსორობა;
4. არქივის მომსახურება;
5. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი.

- 2023 წლის ნოემბრის თვეში განხორციელდა "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ბიუჯეტის კორექტირება.
  - დაგეგმილი შემოსავლები დაკორექტირდა ზრდის მიმართულებით და განისაზღვრა 7 844 343 ლარით (ზრდა 500 000 ლარი), ხოლო სახელმწიფო ასიგნებები შემცირდა 451 590 ლარით, რაც გამოწვეული იყო „მაუწყებლობის შესახებ კანონში" შესული ცვლილებით, "საზოგადოებრივი მაუწყებლის" დაფინანსების კოეფიციენტთან დაკავშირებით. აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია საბიუჯეტო ხარჯების კორექტირების აუცილებლობა.

**საქართველოს კანონი "მაუწყებლობის შესახებ"**
**მუხლი 76².**

2026 წლის 1 იანვრამდე საზოგადოებრივი მაუწყებლის, აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დაფინანსების ოდენობა

1. ამ მუხლის ამოქმედებიდან 2024 წლის 1 იანვრამდე საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო ფინანსდება საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტიდან, საზოგადოებრივი მაუწყებლის 2023 წლის ბიუჯეტის 16%-ისა და ამ მუხლის ამოქმედებიდან 2024 წლის 1 იანვრამდე დარჩენილი დღეების რაოდენობის ნამრავლის 365-ზე განაყოფის ოდენობის თანხით. საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სათანადო ხელმძღვანელმა ორგანოებმა ამ მუხლის ამოქმედების შემდეგ განახორციელონ ამ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ამ პუნქტით დადგენილი ოდენობის თანხით დაფინანსების უზრუნველსაყოფად და ამ მიზნით საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2023 წლის ბიუჯეტში სათანადო ცვლილების შესატანად.

| | |
|---|---|
| ხაზინა | 85,559,610 |
| შენობის რეალიზაცია | 65,295,300 |
| კომერციული შემოსავალი | 7,844,343 |
| წინა პერიოდის ნაშთი | 6,200,000 |
| **ჯამი** | **164,899,253** |

- „საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2023 წლის ბიუჯეტის პირველი ვერსიით კაპიტალური ხარჯებისთვის (ახალი შენობის მშენებლობა) განსაზღვრული თანხა შეადგენდა 65- მლნ ლარს, ხოლო კორექტირებულ ვერსიაში აღნიშნული მუხლი გაიზარდა 1 795 775 ლარით.
- სესხის მომსახურების ღირებულება პირველადი დოკუმენტით განსაზღვრული იყო 13,5- მლნ ლარით, ხოლო საბოლოო ვერსიით განისაზღვრა 13,225 მლნ ლარით. აღნიშნული გამოწვეულია "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ აღებული სესხის ტიპიდან (სესხის საპროცენტო განაკვეთი არის ინდექსირებული).
- პირველადი დოკუმენტით საოპერაციო ხარჯის მსხვილი მუხლი (ხელფასები) განისაზღვრა 33 573 246 ლარით. მოკლევადიანი ხელშეკრულებებით აყვანილი პირების გათვალისწინებით 34 422 046 ლარი.

  - საბოლოო კორექტირებით, ხელფასების მოცულობა გაზრდილია 0,9%-ით, 33 886 167 ლარამდე, ხოლო მოკლევადიანი ხელშეკრულებებით აყვანილი პირების ჩათვლით შეადგენდა 34 549 956 ლარს. ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა დაგეგმილის 97,3%.
  - სახელფასო ნაწილში დანაზოგი გამოწვეულია შემდეგი გარემოებით:







<u>აყვანილ თანამშრომელთა საშუალო თვიური ანაზღაურება შეადგენს 1 698 ლარს, ხოლო გათავისუფლებულ თანამშრომელთა საშუალო თვიური ანაზღაურება შეადგენდა 1 962 ლარს.</u>

## „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები

ბიუჯეტით გაწერილი მონაცემები (საწყისი და საბოლოო კორექტირებით).

| ხარჯების გადანაწილება | პირველადი | საბოლოო | სხვაობა |
|---|---|---|---|
| სამეურვეო საბჭო | 1,289,153 | 1,283,986 | -5,167 |
| გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები | 4,078,035 | 3,510,806 | -567,229 |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 13,987,827 | 13,500,751 | -487,075 |
| მედია | 26,215,376 | 27,601,662 | 1,386,286 |
| ტექნიკა და ტექნოლოგიები | 16,045,220 | 16,473,111 | 427,891 |
| ფინანსები და ადმინისტრაცია | 72,379,890 | 74,190,561 | 1,810,671 |
| სხვა გადასახდელები | 27,643,299 | 28,338,375 | 695,076 |
| **მთლიანი ბიუჯეტი:** | **161,638,800** | **164,899,253** | **3,260,453** |

- მაუწყებლის მიერ პირველადი წარდგენით დამტკიცებული ბიუჯეტის კორექტირება საბოლოო სახის მისაღებად განხორციელდა ორჯერ. საბოლოო ვერსია დამტკიცებულ იქნა ნოემბრის თვეში.

  ხარჯებმა განიცადა შემდეგი სახის ცვლილებები:

| | | |
|---|---|---|
| გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები | 13.90% | კლება |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 3.48% | კლება |
| მედია | 5.28% | ზრდა |
| ტექნიკა და ტექნოლოგიები | 2.66% | ზრდა |
| ფინანსები და ადმინისტრაცია | 2.50% | ზრდა |
| სხვა გადასახდელები | 2.51% | ზრდა |




- ბიუჯეტის გადასახდელების აგრეგირებულ დონეზე შესრულების ზომიერი მაჩვენებლის მიუხედავად, ცალკეული გადასახდელები დაბალი ათვისებით ხასიათდება. ასეთი გადასახდელების ჩამონათვალია:
  - კაპიტალური ხარჯების შესრულების მაჩვენებელი 17%-ია. მშენებლობისთვის გათვალისწინებული 66 795 775 ლარიდან, მშენებელმა კომპანიებმა მოახერხეს მხოლოდ 15 012 065 ლარის ათვისება. აღნიშნული ცდომილება არ არის მაუწყებლის ბიუჯეტის დაგეგმვის ხარვეზი, მაუწყებელმა სამშენებლო სამუშაოების ხარჯები გაწერა კონტრაქტორ კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში მითითებული ვადების შესაბამისად, რაც ბიუჯეტის დაგეგმვის (2022 წლის ნოემბერი) პერიოდისთვის გულისხმობდა: 1. კონსტრუქციული და არქიტექტურული სამუშაოების დასრულებას 2023-წლის მესამე კვარტალში და 2. საინჟინრო სისტემების მიწოდებას და მონტაჟის სამუშაოების დასრულებას 2023 წლის მეოთხე კვარტალში.
  - ტექნიკისა და ტექნოლოგიების ბლოკში დაგეგმილი ბიუჯეტის ათვისება შეადგენს 80,8%-ს. რიგ მუხლებში არის მნიშვნელოვანი აცდენები გეგმასა და ფაქტს შორის. მაგ: შესყიდვების ნაწილში ათვისებულია გამოყოფილი ბიუჯეტის 36,3%. კერძოდ, გათვალისწინებული 9 108 440 ლარის ნაცვლად, ახალ შენობაში გადასვლის გეგმის ფარგლებში, ათვისებულ იქნა 3 309 898 ლარი.

| | |
|---|---|
| გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები | 91.80% |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 98.00% |
| მედია | 83.50% |
| ტექნიკა და ტექნოლოგიები | 80.80% |
| ფინანსები და ადმინისტრაცია | 28.20% |
| სხვა გადასახდელები | 97.80% |

- გენერალური დირექტორის და დაქვემდებარებული სამსახურების ბიუჯეტის ათვისების მაჩვენებელია 91,8%. ვინაიდან, საბიუჯეტო წლის შუა პერიოდში განხორციელებული მაუწყებლის სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, გენერალური დირექტორის დაქვემდებარებიდან „მარკეტინგისა და კომუნიკაციის“ სამსახურმა გადაინაცვლა ფინანსებისა და ადმინისტრაციის ბლოკში.
- მედიის მუხლში ბიუჯეტის 83,5%-იანი ათვისების ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორებია: მივლინების ხარჯების 64,7%-იანი ათვისება და სახელფასო ფონდის 75%-ათვისება.
- ტექნიკისა და ტექნოლოგიების ბლოკის სამივლინებო ხარჯები 34,4%-ით აღემატება ბიუჯეტით დაგეგმილ მაჩვენებლებს. დაგეგმილი ბიუჯეტი -7 120 ლარი, ხარჯი - 9 570 ლარი.

## “საზოგადოებრივი მაუწყებლის” შემოსავლების წყარო და მისი დაგეგმვა:

| შემოსავლები | პირველდი დაგეგმარება | მეორე ცვლილება | ფაქტიური შემოსავლები |
|---|---|---|---|
| ხაზინა | 85,943,500 | 85,559,610 | 85,559,610 |
| შენობის რეალიზაცია | 65,295,300 | 65,295,300 | 15,363,600 |
| კომერციული შემოსავალი | 4,200,000 | 7,844,343 | 10,386,564 |
| წინა პერიოდის ნაშთი | 6,200,000 | 6,200,000 | 54,609,908 |
| ჯამი | 161,638,800 | 164,899,253 | 165,919,682 |

წინა პერიოდის ნაშთის ფორმირებაში არ მონაწილეობს მაუწყებლის ანგარიშზე 2023 წლის დასაწყისში არსებული გრანტის თანხა 9 145.62 ლარი და ბიზნეს ბარათზე არსებული ნაშთი 11 973.47 ლარი.

- “საზოგადოებრივი მაუწყებლის” პირველად საფინანსო დოკუმენტსა და ფაქტობრივად მიღებულ შემოსავლებში სხვაობები დაფიქსირებულია შემდეგი მიზეზით:
  - **ხაზინა** - სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული/გამოყოფილი შემოსავალი შემცირებულია “მაუწყებლობის შესახებ” კანონში ცვლილების საფუძველზე.
  - **შენობის რეალიზაცია** - მიღებულ თანხებში სხვაობა გამოწვეულია აღრიცხვის მეთოდებში განსხვავებით. აუდიტის მიერ საბალანსო წლის განმავლობაში საკასო შემოსავალი იქნა აღიარებული შენობის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლად, ფინანსური სამსახურის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში კი წინა პერიოდის ნაშთის ნაწილი (რაც შენობის რეალიზაციით მიიღო მაუწყებელმა წინა წლებში) აღრიცხულია შენობის რეალიზაციის ნაწილში.
  - ასევე, სხვაობას იწვევს “საზოგადოებრივი მაუწყებლის” ბიზნეს ბარათზე არსებული ნაშთი 4 039.78 ლარი და მიზნობრივი გრანტის ნარჩენი თანხა 1 862 ლარი.

- **კომერციული შემოსავალი** - საწყის ბიუჯეტში დაგეგმილია ზედმეტად კონსერვატიული მიდგომით, რადგან სადეპოზიტო ანგარიშზე წლის განმავლობაში არსებული მიმდინარე ნაშთი იძლეოდა გაცილებით მეტი სარგებლის გენერირების საფუძველს. უფრო დეტალურად:
    - 2023 წლის ბოლოს არსებულმა ნაშთმა საზოგადოებრივი მაუწყებლის სადეპოზიტო ანგარიშზე შეადგინა 63 583 725 ლარი.
    - სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული ნაშთი ყოველი თვის ბოლოს მდგომარეობით შეადგენდა:




<u>"საზოგადოებრივი მაუწყებლის" სადეპოზიტო ანგარიშზე არსებული ნაშთი, თვის ბოლო დღის მდგომარეობით (დეკემბრის ნაშთი აღებულია 29-დეკემბრის მდგომარეობით).</u>

- მაუწყებლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალის წილები;




- „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ საკუთარ ფინანსურ რესურსს ათავსებს კომერციულ ბანკში არსებულ სადეპოზიტო ანგარიშზე. მასზე დარიცხულმა საპროცენტო სარგებელმა შეადგინა მთლიანი კომერციული შემოსავლის 74%, ხოლო, სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა - 26%. სტანდარტული მდგომარეობისთვის დამახასიათებელია, რომ შემოსავლის პირველ და ძირითად წყაროს უნდა შეადგენდეს რეკლამა-სპონსორობიდან მიღებული ფინანსები.

- რეკლამა-სპონსორობის წილი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალში არის 20%.

  მაუწყებლის შემოსავლები 2023 წელს გაზრდილია 11%-ით (255 573 ლარი) 2022 წლის მონაცემებთან შედარებით (სადეპოზიტო შემოსავლის გარეშე).

- 2023 წლის განმავლობაში, მაუწყებლის მიერ არსებული ფინანსური რესურსის ხარჯვა, კვარტლების მიხედვით, განხორციელდა პროპორციულად შემოსავალთან მიმართებაში.



# შესყიდვები

- 2023 წელს, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ, განხორციელდა 433 ერთეული გამარტივებული შესყიდვა. შესყიდვის საერთო ღირებულებამ შეადგინა 3 078 437.92 ლარი. მათ შორის, მაუწყებელმა განახორციელა შეთანხმებები გამარტივებული შესყიდვის თაობაზე (SMP) , რომელთა ღირებულება აღემატება დადგენილ მონეტარულ ზღვარს და/ან შესასყიდი მომსახურება არის რომელიმე პირის ექსკლუზიური უფლებამოსილება (მაგ: რადიოსიხშირული რესურსი, ობიექტის დაცვა (იარაღის შესახებ კანონის მე-9 მუხლის მეორე ნაწილი), ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების გატარება საკომუნიკაციო ჭებში). ამ ტიპის შესყიდვების საფუძველი არის (ძირითად შემთხვევაში) მომდევნო წლისთვის მომსახურებების მიღება, რათა შეუფერხებლად იფუნქციონიროს ორგანიზაციამ.
- მაუწყებლის მიერ ტენდერებში გამარჯვებულ ფიზიკურ და/ან იურიდიულ პირებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არაა გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვების რეკომენდაცია პირგასამტეხლოს ზღვრის გაანგარიშებასთან დაკავშირებით;

  - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაცია პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრის თაობაზე არის შემდეგი შინაარსის; „პირგასამტეხლოს დაკისრებით მხარემ არათანაზომიერად დიდი სარგებელი არ უნდა მიიღოს. მაგალითად, რიგ შემთხვევებში სასამართლომ 90%-ით შეამცირა პირგასამტეხლოს ოდენობა და ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2% ან 0,25% ან 1% მიიჩნია პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობად (200 000 ლარამდე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების შემთხვევებში). ასევე, გასათვალისწინებელია, რომ ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების დროს განსაზღვრული პირგასამტეხლოს გარდა, სასამართლომ, მხარეს დამატებით აღარ დააკისრა პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.“ მაუწყებლის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებებში პირგასამტეხლოს ნაწილი განსაზღვრულია 3-5%-ის ოდენობით.

  - საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“

    მუხლი 20[1]

    „საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ტელე/რადიო, ასევე, ვებგვერდისა და სოციალური ქსელისათვის განკუთვნილი პროდუქციის (პროგრამა, გადაცემა, ფილმი, სპექტაკლი, სერიალი, რეპორტაჟი, კულტურული ღონისძიება) ან/და მის შესაქმნელად საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, აგრეთვე სატელიტური თანამგზავრის საშუალებით ტელერადიოპროდუქციის გავრცელებასთან ან/და მის მიღებასთან დაკავშირებული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე (გარდა ტელერადიოპროდუქციის შესაქმნელად ან/და მაუწყებლობისათვის საჭირო საქონლისა და სამშენებლო სამუშაოს, აგრეთვე ამ მუხლით გაუთვალისწინებელი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვისა) არ ვრცელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება.“

    ზემოთ მოცემული კანონის მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, მაუწყებელმა განახორციელა 1 420 536 ლარის მექანიკური პროდუქციის შესყიდვა, ნაცვლად ბიუჯეტით დაგეგმილი 1 724 401 ლარისა (17,6%-ით ნაკლები). დაჯილდოებების და სპორტული ლიცენზიების შესყიდვისთვის დაგეგმილი ბიუჯეტიდან ათვისებულ იქნა 98 9%, თანხის მოცულობამ შეადგინა 3 710 163 ლარი.

## სესხები

- 2019 წელს, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება საფინანსო ინსტიტუტთან საკრედიტო ხაზის გამოყოფის შესახებ, რომლის მიზნობრიობას წარმოადგენს გრძელვადიანი აქტივებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების დაფინანსება. საკრედიტო ხაზის ჯამური მოცულობა შეადგენს 45-მლნ ლარს. აღნიშნული სესხის ათვისება მაუწყებლის მიერ ხორციელდებოდა ეტაპების მიხედვით, სამშენებლო და ტექნიკური გადაიარაღების სტრატეგიის შესაბამისად. ათვისების ეტაპები არის შემდეგი:




საკრედიტო ხაზის ათვისების პერიოდი

- სესხი ათვისებულია 13 ტრანშად და 2023 წლის ბოლოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სასესხო დავალიანების მოცულობა შეადგენს 30 082 119.94 ლარს. 2023 წელს, მაუწყებლის სესხის ძირის დასაფარად მიმართულ იქნა 8 191 332.99 ლარი, ხოლო საპროცენტო ხარჯმა შეადგინა - 4 820 410.64 ლარი.
- 2025 წლის ბოლოს, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ მოახდენს საკრედიტო ხაზის მთლიანი მოცულობის (7 ტრანშად მიღებული სესხის) 27 439 256 ლარის სრულად დაფარვას, ხოლო სესხის 6 ტრანშად მიღებული ნაწილის შემცირებას 5 648 353 ლარამდე. (სესხის ძირის მოცულობა პერიოდზე გაანგარიშებულია სესხის პირობების (ინდექსირებული განაკვეთი) გათვალისწინებით. მონაცემები დათვლილია არსებული რეფინანსირების (8,25%) განაკვეთზე).

## არაფინანსური აქტივები

| დასახელება | საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი | წინა საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი |
|---|---|---|
| ძირითადი აქტივები | 39,773,770.49 | 43,266,718.65 |
| არამატერიალური აქტივები | 4,021,474.54 | 2,493,253.93 |
| სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები | 31,858,383.27 | 16,375,287.82 |

- ძირითადი აქტივების კლება განპირობებულია ცვეთის შედეგად. მაუწყებლის მიერ მიმდინარე წელს არ განხორციელებულა მასშტაბური მოცულობით ტექნიკის შეძენა.
- არამატერიალური აქტივების ზრდა განპირობებულია ფილმების, ლიცენზიების და სხვა არამატერიალური აქტივის შეძენით, რაც ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული.
- გრძელვადიანი არაფინანსური აქტივის ზრდა განპირობებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი შენობის მშენებლობით და მასში განხორციელებული ინვესტიციით.

## შეფასება და რეკომენდაცია

| ფაქტი | რეკომენდაცია |
|---|---|
| ბიუჯეტის შედგენის ანგარიშში ჩანს ეკონომიკური შემოსავლების ჯამური მოცულობა, თუმცა არ არის ჩაშლილი მონაცემები, რა საქმიანობიდან იგეგმება აღნიშნული შემოსავლის მიღება. | ბიუჯეტის პროექტის წარდგენას სასურველია ახლდეს დეტალური ინფორმაცია, შემოსავლების ნაწილში რომელი მიმართულებიდან რა შემოსავალს ელოდება ორგანიზაცია, რათა შემდგომი ანალიზისთვის შესაძლებელი იყოს გეგმასთან მიმართებაში თუ რამდენად შეასრულა თითოეულმა რგოლმა წარმოდგენილი შემოსავლები. |
| ბიუჯეტის გადასახდელების აგრეგირებულ დონეზე შესრულების ზომიერი მაჩვენებლის მიუხედავად, ცალკეული გადასახდელები დაბალი ათვისებით ხასიათდება. | შემუშავდეს მაუწყებლის სამსახურების მიერ ფინანსური სამსახურისთვის მისაწოდებელი ბიუჯეტის წარმოდგენის პოლიტიკა, რათა ფინანსურმა სამსახურმა ოპტიმალურად მოახდინოს წლიური ბიუჯეტის გაწერა სამსახურების ჭრილში. |
| მაუწყებლის მიერ ტენდერებში გამარჯვებულ ფიზიკურ და/ან იურიდიულ პირებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არაა გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვების რეკომენდაცია პირგასამტეხლოს ზღვრის გაანგარიშებასთან დაკავშირებით. | სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაცია პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრის თაობაზე არის შემდეგი შინაარსის; „პირგასამტეხლოს დაკისრებით მხარემ არათანაზომიერად დიდი სარგებელი არ უნდა მიიღოს. მაგალითად, რიგ შემთხვევებში სასამართლომ 90%-ით შეამცირა პირგასამტეხლოს ოდენობა და ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2% ან 0,25% ან 1% მიიჩნია პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობად (200 000 ლარამდე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების შემთხვევებში). ასევე, გასათვალისწინებელია, რომ ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების დროს განსაზღვრული პირგასამტეხლოს გარდა, სასამართლომ, მხარეს დამატებით აღარ დააკისრა პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.“ |

